# სამუშაო პროცესის განაწილებასთან დაკავშირებული სირთულეების გავლენა ორგანიზაციულ კულტურაზე ქართული კომპანიების მაგალითზე

**ნინო ჯიქია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023**

# განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჯიქია/ ნ.ჯიქია 04.04.2023

# აბსტრაქტი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ორგანიზაციული კულტურის გავლენა ორგანიზაციაში დასაქმებულთათვის სამუშაო პროცესის განაწილებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საქართველოს მაგალითზე. ამ მხრივ ჩატარებული კვლევა მოიცავს უშუალოდ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერებისა და მკვლევრების მიერ დაწერილი ნაშრომების ანალიზს ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობის, მიდგომებისა და მასში შემავალი კომპონენტების შესახებ, ასევე კვლევის ფარგლებში მიმოხილული იქნა ევროპის ქვეყნებში, ორგანიზაციაში არსებული კულტურისა და მმართველობის ტიპები. ამ მხრივ ქართული კომპანიების მაგალითზე ჩატარებული კვლევის ანალიზის შედეგად შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები კომპანიის ხელმძღვანელებისა და კომპანიაში დასაქმებული პირთათვის მოახდინონ არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და დროული რეაგირება სამუშაო პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად.

წარმოდგენილი კვლევის შემუშავება დაიწყო უშუალოდ ორგანიზაციული კულტურის არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში დადგინდა კავშირი ორგანიზაციულ კულტურასა და სამუშაო პროცესის სრულყოფის საჭიროებაზე. კვლევამ გამოკვეთა ის ძირეული და აქტუალური პრობლემები რომელსაც აწყდებიან დასაქმებული პირები და კომპანიის მენეჯერები, რის საფუძველზეც შემუშავდა არსებული გადაჭრის გზები და შეფასდა მისი ეფექტურობა.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც დაკავშირებული იყო კომპანიების სამუშაო პროცესებში ორგანიზაციული კულტურის გავლენაზე. აღნიშნული კვლევის შემუშავებისას, შეფასდა ევროპული ქვეყნების მიერ მიღებული და განხორციელებული ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იყო სამუშაო პროცესის ეფექტურობასთან. კვლევის ფარგლებში კომპანიების შედარებითი ანალიზი გაკეთდა დასაქმებულსა და ხელმძღვანელობებს შორის ინტერვიუსა და გამოკითხვის საფუძველზე, სადაც გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი

გამოწვევები, რომლის წინაშეც დგანან როგორც ქართულ ბაზარზე დასაქმებული პირები ისე კომპანიის მენეჯერები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანდათანობით იზრდება ხელმძღვანელთა დამოკიდებულება თანამშრომელთა მიმართ, რის საფუძველზეც ორგანიზაციაში ახდენენ შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბებას და კულტურის დანერგვას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული კულტურის ინტერპრეტაციული მიდგომა, ორგანიზაციული კულტურის სტრუქტურული მიდგომა, ორგანიზაციის კულტურული ქსელი, ორგანიზაციული კულტურის ტიპები, დელეგირება, სამუშაოს კონტროლი, კულტურა ევროპულ მენეჯმენტში, ევროპული კულტურული მახასიათებლები, საცალო ვაჭრობაში საქართველოში

# Abstract

The aim of the submitted master's thesis is to analyze the influence of organizational culture on the difficulties related to the distribution of the work process for employees in the organization, with a special emphasis on the example of Georgia. The research conducted in this regard includes the analysis of works written by world-renowned scientists and researchers about the meaning, approaches and components of organizational culture, as well as the types of culture and governance in organizations in European countries were reviewed within the framework of the research. In this regard, as a result of the analysis of the research carried out on the example of Georgian companies, recommendations were developed for company managers and employees to identify the existing problem and respond in time to increase the efficiency of the work process.

The development of the presented research began directly with the determination of the essence and meaning of organizational culture. Within the framework of the mentioned research, the connection between the organizational culture and the need for perfection of the work process was established. The research identified the basic and actual problems faced by employees and company managers, on the basis of which existing solutions were identified and their effectiveness was evaluated.

In addition, the international experience related to the influence of organizational culture in the work processes of companies was studied in the research process. During the development of the said study, measures taken and implemented by European countries were evaluated, which were related to the efficiency of the work process. As part of the research, a comparative analysis of companies was made based on interviews and surveys between employees and managers, where the important challenges faced by both the persons employed in the Georgian market and the company's managers were highlighted. It is worth noting the fact that the attitude of managers towards employees is gradually increasing, on the basis of which they establish appropriate values and introduce culture in the organization.

**Keywords**: organizational culture, organizational culture interpretive approach, organizational culture structural approach, organizational cultural network, types of organizational culture, delegation, work control, culture in European management, European cultural characteristics, in retail trade in Georgia.